

# საფუღი





საახალწლო საჩუქარი პატარებს!

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

I. საახალწლო საჩუქარი ბავშვებს, — სურათი. . . . .	1
II. ზამთარი, — ლექსი ა. სისარუდიძის. . . . .	3
III. ნასწავლი ვირი, — ირ. კვდუშვილის. . . . .	7
IV. ჩვენი ლაღო, — ნიკა კეტხეკელის. . . . .	14
V. ბავშვების ქველმოქმედება, — ნინო უარხიბაძის. . . . .	16
VI. ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი, — სკოტრეაგის (შემდეგი) თარგმანი კაკისა . . . . .	19
VII. გასართობი: რებუსი, თავსატეხი და ახსნა. . . . .	24





## ზამთარი

არდნის... თოვლის ზეპლები  
ჭაერში ტრიალებენ,  
ხან შირს დაეშვებიან,  
ხან ალმა ფრიალებენ;

არეძარე, ძთა-ბბრი  
თეთრად გადაფიფქულა;  
როგორ შვენის ჩვენ ბაღში  
ხენილებს თოვლის ქულა!..

ტეეს ძხრებსე წამოუსხამს  
თეთრი, რბილი ნაბბდი,  
თბილად ჩაბურულია  
წეარო, რე და ნაკადი;

ხეებს წვერებს უძძიმებს  
ღინღინიანი ქედები,

ნამკვებს როგორ უნდებათ  
 თოვლიანი ტოტები!!.

სიხუძეა ეოველგან,  
 მთა და ბარს ფლობს დრმა ძილი,  
 მსოფლოდ აქა-იქ ისმის  
 ფრინველების ძახილი;

სანაგვესე მოსულან  
 სკვინჩები,\* ბელურები,  
 ქათმები ვერ აძინებთ  
 და ვერც ინდაურები;

სურო დაფარულია  
 შავ-ქულაჯა შაშვებით,  
 კურკანტელი\*\*)—ჩხარტვებით,  
 ფითრი—ბოლოშაშვებით,

სთოვს, სთოვს, ცივბ... ძერე რა,  
 თქვენ ფიქრობთ, სასლში ვსივარ??!  
 -- დილიდან საღამომდე  
 აღმა-დაღმა დავრბივარ;

რა ვქნა, დრო სულ არა მქვს,  
 თამაშობას უნდები,  
 სულ მსადა მქვს სასროლად  
 თოვლის რეკალი გუნდები...

\*) სკვინჩა გურიაში პატარა ქრელ ჩიტს ჰქვია.

\*\*) ეკლის ბუჩქის წითელი ნაყოფი.

რა კარგია, ვიშ, თოვლი!!!  
 რა წამოვდგები დილით,  
 მთისკენ გავეშურები  
 ჩემი კოსტა მარსილით,

და თოვლზე მოვსრიალობ  
 თაუქუ დანახებული,  
 ფრთა შესხმული მოვფრინავ,  
 სიამით მიმეკრს გული;



იქ თოვლის კაცი მიდგას,  
 ჯობსე დაუდებელი,  
 შეხეთ, რა ტანადია,  
 და რა ჩასეკებული,

სასახლეც აუშენე,  
 თუ სცივას, მიკ შებრძანდეს;


ბუნარიც აქვს, სომ სედავთ,  
 და იმის წინ დაბრძანდეს...



დამაცათ!. ჩიტუნებსაც  
 სომ უნდათ ეურის გღება,  
 თუ რამ არ ვაკენკვიე,  
 ეს, რამდენი მოკვდება!..

რა ვქნა! დრო სულ არა მაქვს,  
 სულ საქმეებს უნდება...  
 კარგა რო დადამდება,  
 სახლში მაშინ ვბრუნდება.

ი. სიხარულიძე.



## ნასწავლი ვირი.\*)



ირი, რომლის ხმავეი უნდა ციანბოთ, ემა-  
წვილებო, დიდათ ბედნიერი იყო, ისეთი  
ბედნიერი, რომ ყრველ საღამოს საუვი-  
რით ატყობინებდა მთელ სოფელს თავის  
ბედნიერებას. გამღებოდა დილით და მოჭ-  
ეგებოდა შიქასტას, სანამ თავმობესრებული ჰატრონი ერთ ორს  
არ უცხუნებდა გვერდებში. გამღებოდა საღამოთი და იმავე მ-  
დალ ჭანგზე გამოაცხადებდა თავის ბედნიერებას. ბოლოს ჰ-  
ატრონის ხელსაც შეეჩვია, და რა მკვარი ჯოხიც უნდა სჭე-  
როდა ლოტბარს, ის თუქცა სლუყ-სლუყით, მანც დაათავებდა  
სოლმე ძილის ჰირს.

\*) ირ. ევლოშვილის ხელნაწერებში აღმოჩნდა ეს მოთხრობა, განხვენებული  
მწერლის მიერ ჩვენი ჟურნალისათვის დამზადებული.





მიღის ზიზს მეთქი—იმიტომ მოგასხენებთ, რომ ამ სი-  
მოვნების შეძგე დაჭკიდებდა მიზს თავს, დაუშვებდა ორსავე  
ურებს და მიეცემოდა ღრმა ფიქრებს, სანამ მისი მოღლილი  
კონება არ მიიძინებდა. (ის მანცა და მანც ისედაც სულ  
მუდამ მიზს იუურებოდა, ვინაიდან ვარსკვლავთმრცხველობა  
ხინრკედელაობად მიანხდა და თვისი ღრმა აზრები დედამიწის  
გულიდან ამოქცნდა ბაღასების ძირებთან ერთად.)

ღიას, ბედნიერი იყო ჩვენი ვირი, მსოფლოდ ცოტა-ოდნად  
გულნაკლულად ბრძანდებოდა ადამიანებსე. „აბა რა არის, რომ  
მეც ისე მისხნიონ სოლმე, როგორც მაგალითად ერთმანეთს  
ისხნიებენ: ზატოხსანო ვირო, ბატონო მეცნიერო, თქვენო  
კეთილშობილებავ, ზატოცუქულო და სხვა. განა იმათსე ნაკ-  
ლები ვარ,—ფიქრობდა ვირი, და მართლაც იყო. ზატოხსნება,  
დარბაისლობა, კეთილშობილება, გაწითუნა და სრდილობა  
სწორედ რომ არ აკლდა. რომ ეს ასე იყო, მისი საბუთები  
მუდამ ზედ ეკიდა. ზედ ეკიდა მეთქი, იმიტომ მოგასხენებთ,  
რომ რაც უნდა მძიმე ტვირთი დაეღვათ ზედ, ის სრდი-  
ლობიანად მიიღებდა, და თუ მანცა და მანც ვეღარ შეს-  
ძლებდა მის ზიდვას, სრდილობიანათვე დაიხრქებდა მის ქვეშ  
და ელოდებოდა მოთძინებით, როდის მოსწუინდებოდა ზატონს  
კუდის აწევა.

ზატოხსანი იყო იმიტომ, რომ იმ თავით ამ თავამდე ერთ-  
სეულ არსეულ გზისთვის არ გადაუსვევია. შინიღამ წინქვილში  
თუ წინქვილიღამ შინ—ერთსა და იმავე ბილიკით მიდიოდა  
და მოდიოდა, ზატოხსნათ ჩააბარებდა სოლმე ბედელს დაფ-  
ქელს, და დასაფქვავს—მეწინქვიელს. რაც შეეხება კეთილშო-  
ბილებას, ეს სომ მის შუბლსე ეწერა ისედაც.

ღიას, ასე ეოჯელ მსრივ შემკული იყო ჩვენი ვირი, და  
თუძცა ვირს ეძახდნენ, ის მანც გულს არ იტყნდა, ვინაიდან

იცოდებ, რომ ვიწრო შეცდომით დაუძახეს, რომ მის ნამდვილ სახელს განგებ ძალავენ, ან არა და ვინმემ მიითვისა, წაართვა. ამ ტანჯვაში იყო ჩვენი ვიწრო, მაგრამ მანაც არ უჩიოდა თვის ბედს, ჰიბრქით, როგორც მოგახსენებთ, თვის ბედნიერებას დილა-საღამოს აცხადებდა საუოჯგულთაოდ.

მოთმინებით და სათნოიანი ხასიათით ჩვენმა ვიწრომ, როგორც იყო, საწადელსაც მიაღწია, და მართლა ერთ დღეს სახელი დაუბრუნეს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მის სახელს სხვა სახელი მიუბატეს. აი ეს როგორ მოხდა: აღარ ახსოვს ვიწროს, რა დღე იყო ის დღე, — ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი თუ ხუთშაბათი, მხოლოდ ახსოვს კი, რომ ის დღე არა-ჩვეულებრივი დღე იყო, არაჩვეულებრივი არამც თუ თბილი ამინდით, არამედ იმითაც, რომ ესოდნე დღიდანვე გამოიფინენ ინდოურები და მშვენიერი აღლუმი გამართეს. კარგად ახსოვს ვიწროს, როგორ გაუფლ-გამოუფლიდა ხოლმე წინ ბელადი ნისკარტსე გძელ ჩინვირ ჩამოშვებული და ურიერიყებდა და მთელი ინდოურობა უცებ მიესალმებოდა ხოლმე თავის წინამძღოლს.

მშვენიერი სანახაობა იყო ეს სანახაობა, მეტადრე მაძინ, როდესაც წითელმა მამალმა თავი ძალდა ახწია, ძვერდი წინ გადმოუშვა, ქუსლების ბაკა-ბუკით წავიდა წინ და უკან, ძვერე უცებ შედგა და ისეთი სარით დაიძახა ეიუდიყო, რომ მთელი ესო შეინძრა.

— კაკა, კაკაკაკა... — ასტეხეს განგაში ქათობმა.

— ეი ეი ეი ეი! — მართეს ეიუინი ბატებმა.

— იხე იხე იხე! — შეუსმატებოდა იხუებმა და გაიძართა მშვენიერი ხმა-შეწობილი კალობა.

ეს მოხდა მეხუთმეტე წელს მისი დაბადებიდან. ხანში შესული ძალ-თანე დაკარგული ვიწრო ერთ დღეს მძიმე ტვირთ

ქვემ დაეცა და ჩვეულებრივ მოართო კენესა და ხვნება. იგერი ეწია ჰატრონმა კუდით; უურებით, მაგრამ ვერ დასძრა ვირი ადგილიდან.

— ეჭუ, დაბურდი, შე ტიალო, წვალებების მეტი აღარ ხარ რა, დროს ხელი ავიღო შენზე!— ჩაბუტბუტა ჰატრონმა, მოხადა სახალნე, მოხადა კურტანი, აუშვა ეელიდან საბელი და განება თავი.

— ოღონდაც რო დროა, მეოფა შენი სამსახური, ჩემს სიბერეს ძინც ჰატევი ეცით!— ფიქრობდა შუა გზაზე მიტოვებული ვირი და როდესაც ჰატრონი მიეფარა თავს, ის ნელნელა წამოდგა, უურები გაიქნ-გამოიქნია, სადამდეც კი მიწვდებოდა, კუდიტ მტვერი ჩამოიწმინდა და მიაბურა გზას იქით მწვანე მინდორს. იქ მან ჯერ ბაღასს ტუჩი დაადო, თითქოს რაღაც შეულოცაო, მერე აიშვირა ძაღლს თავი, შევითა ტუჩი დაჩანჭა, მისი თეთრი დიდრონი კბილები ბროლივით ელაგდნენ მზეზე.

გაუხარდა ვირს განთავისუფლება, მხოლოდ ცოტა გულ-ნაკლულად იმაზე იყო, რომ აძენი ხანი კურტანი განუძორებლად წელზე ედვა და ახლა კი მოჭნადა ჰატრონმა. განთავისუფლეს, დაითხოვეს სამსახურიდან, მაგრამ კურტანი, რომელიც უოველ ვირის დირსებას შეადგენს, არ გაატანეს თან, რომ სამსახურის გარეშეც ეტარებინა.

— ვოუ-ვოუ-ვოუ-ვოოუ!— დაიძახა ძინც განარებულმა ვირმა, გამოაცხადა თავისი თავისუფლება საქვეყნოდ და შეუდგა მწვანეს ნელნელა, არსეინად მართლაც მისი თავისუფლების ამბავი ძაღე ეცნო მოელ სოფელს, გაიგეს სოფლად ჰატრონ ბიჭებმაც და არა ნაკლებ გაუხარდათ მათაც ვირის ასეთი გაბედნიერება. მხოლოდ ცოტა უკმაყოფილება მოუვიდათ იმაზე, თუ ვის უნდა ეტარებინა ვირი სკოლაში. დიან სკოლაში! აი

რე ბედი ეწია ჩვენ ვირს. რომ იტყვიან—კაცს სიბერემდე სწავლა არ მოსჭარბდებაო, სწორეთ ჩვენს ვირსე ახდა, და მანაც სკოლაში დაწვებინეს სიარული. ბევრი ჩსუბინა და ერთმანეთის ცემა-ტყენის შემდეგ გადასწვეიტეს ვირი ჯერ-ჯერით ეტარებინათ სკოლაში.

კათენდებოდა დილა, ჩამოუვლიდნენ ვირს მწვანე მინდვრისანიკენ ჯერის და კვალად, რომელიმე მათგანი წიგნების აბეთო მხარდილივ გზადკიდებული მოაჯდებოდა ვირს, დანარჩენნი სიმღერითა და თამაშით მისდევდნენ უკან და მიჰყავდათ ამგვარად ვირი სკოლაში. მიაცილებდნენ დიდის აბით, აუწევდნენ მსედარს ფეხს, გადმოსჩყნავდნენ ძირს თვის წიგნებიანად, და ვირს კი გზუშვებდნენ იქავე ახლას მწვანისანსე.

როდესაც ემაწვილები სკოლაში შევიდოდნენ გაკვეთილებსე, ვირი ცოტა არ იუოს მოიწეენდა ხოლმე უძმათოთ, მაგრამ კათავდებოდა თუ არა გაკვეთილი, მისი შეკობრები უძალ მის გარშემო გახნდებოდნენ. ზოგი ბურთაობას თამაშობდა, ზოგი კეკე-ძალულობას, და ზოგიც გაკვეთილს ისეპირებდა. უსძენდა ვირი შეკობრების გაკვეთილებს და გულმოდგინედ სწავლობდა მათთან ერთად. ბევრი ლექსი და მოთხრობა თითქმის სენიარად დაისწავლა; და როდესაც პირველად მოისმინა ლექსი: „ვირი და ბუღბული“, ისეთი აღტაცება იგრძნო. რომ ვეღარ მოითმინა და სინარულით შემოსძახა თავისებური შიქანცა. ბეგრს, ფიქრობდა ვირი ნიშნის მოკებით, თვით ადამიანებიც კი ამტკიცებენ, რომ ჩვენ, ვირებს, მსაჯულობაც კი შეგვძლება! აბა თქვენი ჭირიმეთ, ამ ლექსისა არ იუოს, როგორ მოვიდოდა ბუღბული მამალთან, სად ერთის ხმა და სად მეორისა! მამალსე უკეთესი მოძღვრალი დედამიწის სურგსე ჯერ არ გაჩენილაო“.

აღტაცებული ვირი თვითონაც კი შეუდგა ლექსების მეთ-



ზუას, და სადაც კი ნაცარს დაინახავდა, ჩაწვებოდა  
 კუდით შეუდგებოდა წერხს: აი ერთი ლექსთავანი, რომელიც  
 შეკირდებმა თვის გახეთქი მოათავსეს:

დილით მივდივარ სკოლაში,  
 იქ ბალახით ვიკუდები,  
 ბევრსაც ვსწავლობ და ნასწავლი  
 მუადლისას შინ ვბრუნდები.

მართალიც იყო ჩვენი ვირი: ასე დიდის ამბით მიდიოდა  
 ყოველ დღე სკოლაში და ბრუნდებოდა იქიდან მხიარული თან-  
 მსლებლებით.

მთელმა სოფელმა უკვე იცოდა ეს ამბავი, გაიგეს სოფ-  
 ლის გარეთაც და ძაღვ მთელ დედაძმის ზურგზე მოიფინა  
 ნასწავლი ვირის სახელი.

ივნისის უკანასკნელ რიცხვებში, როდესაც შეკირდები ჟი-  
 ვილ-ხივილით გამოიძაღნენ სკოლიდან გარეთ დათხოვნილები  
 სასაფხულოდ, ისეთი განგაში ასტკნეს სინარულით ვირის  
 გარძემო, რომ მიუსედავათ თავის სიღარბაისლისა ისიც ჩაერ-  
 ია მათ ფერხულში.

— მოგვიღოცნია, ნასწავლო ვირო! — ულოცავდა ერთი.

— გაუძარჯოს ჩვენ ნასწავლ ვირს! — უვიროდნენ მეორენი.

— ვაძა და დიდება ჩვენ მეცნიერს! — აქებდნენ სხვები.

მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც მისმა  
 თვალებმა მოინიღეს, როდესაც შეკირდებმა ისძველი პატრო-  
 ნის ესოში შეაბრძანეს. აქ იცოდნენ უკვე დიდიდანვე, რომ  
 ნასწავლი ვირი უნდა მოსულიყო; და მართლაც გამოჩნდა თუ  
 არა მეცნიერი, მის პატრიუსაცემლად რიგზე ჩამწკრივებულ ინ-  
 დოურებს ჩიხვირ-ჩამომჟვებულმა ბელადმა უბრძანა სალამის  
 მიცემა. მათაც ყველამ ერთად საუცხოვო ხმაზე შესძახეს ქება-  
 დიდება. მათ არც ქათამთა ამქარი ჩამორჩა. წითელმა მამალმა

თავი მალღას ახწია, მკერდი წინ გადმოუძვია, მერე წაუვიდა ქუს-  
ლების ბაკა-ბუკით უკან-უკან და ერთი ისეთი უიუღიუო დაი-  
ძახა, რომ მთელი ესო შებნობილდა.

— კაკა-კაკა-კაკა! — მიეგება ქათამთა ამქარი ნასწავლ ვირს.

— ინუ-ინუ-ინუ! — მიჰყენენ მათ ისუებიც.


სიამოვნებისგან აუეუხდა გული მეცნიერს, რამდენჯერმე  
დაუკრა თავი მარჯენივ და მარცხენივ ჩამწკრივებულ ამაღას, შემდეგ  
გაჭიმა ვისერი და მათ სმას თვისი მშუენიერი სარიც მიუძატა.

ღიადი იყო ეს დღე, ღიადი და გულისასწოვარი! ამიერიდან  
ვირს შეეცვალა თვისი წინანდელი სახელი და დაერქვა უბრე-  
ლო ვირის ნაცვლად, — ნასწავლი ვირი. დირსებასთან ერთად  
მას სსვა პატრივიც მიეძატა, ვინაიდან გასაფხულსე მოღონიუ-  
რებულს ახლა ერთის მაგიერ ორ-ორნი ასხდებოდნენ და ამა-  
ვობდა თავისი ახალი სახელით.

„არა უძავს რა“ — ფიქრობდა ვირი, — „თუძცა ჩემი სახელი  
მთლად არ მომამორეს, ისეგ ვირს მეძახიან, მაგრამ ახლა მე  
ვარ დიდებული ნასწავლი ვირი“.

ირ. ევლოშვილი.





## ჩვენი ლადო



სად წელს დაძვს, ქარი რომ კარში  
 ნამქერის კორიანტელს აფენებდა და  
 მწარედ ზუსუნებდა, ჩვენი ლადო იქ-  
 ვე ტახტზე იჯდა და დედის საქმიანობას უცქეროდა, რომე-  
 ლიც ახალ წლისათვის სწავდასწავ ტებილეულობას ამხადებდა,  
 უცქეროდა, მკვრივ მარტო ცქერა არ ეჭამნიკებოდა; უნდოდა  
 თვითონაც მიეღო მონაწილეობა, როგორც ჩარეულიყო ფერ-  
 ხულში; სწავ არა იყოს რა — ქარის ზუსუნი არ ესინამოვნე-  
 ბოდა და რადაც მიძს უღვიძებდა გულში. „ეჭ!“ — ამოიოხრა  
 და რაკი ერთხელ კიდევ დაუშალა დედამ, რაც შენი საქმე არ  
 არის, შვილო, ნუ ჩაერევიო... ამოიღო კანჯინიდან თავის ლერ-  
 წმის სალამური და ნელის ხმით ააუოლა კარში მოზუსუნე  
 ქარს. ნადვლიანი იყო მისი სალამური, ალბად იმიტომ, რომ  
 უშლიდნენ — „კოხინაჲს უშენოდაც გავაკეთებო“.

— ღამე ნუ უკრავ, შვილო, ანკელოსები დაფრთხებიან,  
 გაფრინდებიან, მეტადრე თაროს ანკელოსები.

— სალამურის ხმაზე უფრო მოვლენ, დედილო...

— შენი ჩიტები სომ არა გკონია, შეილო! — გაესუძრა დედა და აღუღებულ თაყლიძი დაჭრილი ნიკოზი ჩაყარა, თან დაატანა: „ტებილად იქეც და ტებილად გაგვატარებინე ახალი წელი“...

— ნეტა ძართლა ძაღვ კი მოვიდეს გასაფხული და... ინატრა ლადომ, გადმოსტა ტახტიდან და მივიდა ბუსართან. გულმა ვეღარ მოუთმინა... „ახალი წელი დადგა, გასაფხულიც ძაღვ მოვა“... თან გულში იძღეროდა, მაგრამ რამ შეაუვარა ეს გასაფხული, ასე რომ ახლაც კი ნატრობდა, როდესაც დედა გოზინაყს ხარძავდა და მას კი ცოტა არ იყოს კბილები უკაწკაწებდა? აი რამ შეაუვარა იგი.

(დასასრული იქნება).

ნიკო კეცხოველი.







## ბავშვების ქველმოქმედება.



ქმი დღე იყო. ეახიაშვილიანთ ბავშვებს დიდი ჟრიაბული გაჭქონდათ.

მათ და რამდენიმე ნაცნობ ბავშვებს გადაეწვეიტათ ლატარის გამართვა სამრევლო სკოლის ღარიბ მოწაფეების დასახმარებლად.

წვრილმანი წიგნები ბლომად შეეკრთავენათ. ზოგი თვითონ გაეკეთებინათ, ზოგი თაჯიანთ სათამაშოებში გამოეჩინათ, ზოგი კიდევ ეყიდნათ.

— კატო, კატო, უფურე, მანიკომ რა შემოსწირა, თავის ჰატარა ტიკინა... ძველი ტიკინა...

— ტუილად დასცინი, ვანო, ჰაწია მანიკოს: მან შემოსწირა ის, რაც ჰქონდა... არ შეიძლება გაგვაგებინო, შენ თვითონ რა შემოსწირე?

— განა შენ თვითონ არ იცი? ლოტო, კალმის ტარი, სღანრების წიგნი...

— კპარა, ერთი სიტყვით—ეოჟედიუე ის, რაც შენთვის უკვე გამოუსადეგარი იყო, რაც შენ აღარ მოგწონს. მანიკომ კი მოგვცა ის, რაც მისთვის უკვლასე მჭირფასი იყო. არ განსოვს, როგორ ნადულობდა ჰატარა, როცა ეს ტიკინა სადღაც...

მანიკოს კი არ უნდა დავცინოთ, არამედ უნდა ვაქოთ გულკეთილობისთვის, — გამოეხარება ზაწიას უფროსი და.

ვანო შეტყუებული კახუდა.

— მართლაც, ბავშვებო! არაფერს ჩვენგანს ასრულაც არ მოსულია მიეცა რაიმე ჩვენთვის ძვირფასი. ჩვენ ვუვლამ კავშირს იმ, რამაც დიდი ხანია თავი მოგვამბოვებო. ზაწია მანიკომ კი დასთმო თავისი საუკარელი სათამაშო, და ვუვლას კვაჯობა... — დაუმატა სტუმრად მოსულმა კატოს ამხანაგმა.

თუ მაგრება, — წამოიძახა აწითლებულმა ვანომ, — მაშინ მე მოვიტან ჩემთვის ვუვლასე ძვირფასს ნივთს. თქვენ არც კი ვინახავთ: მე შეძინოდა, რომ არ გაფუჭებულიყო, და ამიტომ უფროსილდებოდ... მოიცადეთ, ახლავე მოვიტან... ბიძას აქვს შენახული...

ვანო ახეარებით შევიდა ბიძის ოთახში.

— ძია! — მომეცი ჩემი ხომალდი! — წამოიძახა მან. — ახ, რომ იცოდეთ, რა რიგ შენახება მისი მოძორება!

— როგორ თუ მოძორება? — გაიკვირვა ბიძამ. — აკი ამბობდი, არაფერს არ მივცემ, ისე შევინახავო...

— ჰო, ძია, მე მაგას წინედ ვამბობდი, ახლა კი უსათუოდ უნდა დავსთმო... ჩვენ ლატარიას ვმართავთ ღარიბ ბავშვების დასახმარებლად... ვუვლამ შეაწირეთ სხვა და სხვა ნივთები, მანიკომ თავისი საუკარელი ტიკინა მოგვცა... მეც შეაწირე რაღაცა წვრილმანი; ახლა კი მინდა, რომ ეს ჩემთვის ძვირფასი სათამაშოც მივცე ლატარიისთვის.

— ძლიერ კარგი, ვანო, ეკ კარგი ასრია, მეტად კეთილი საქმის გაკეთება მოგიწადინიათ. მეც დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით...

ბიძამ გამოსწია მაგიდას უჯრა, და იქიდან ამოიღო კალმის დახა, კონტა ჩაწილები, ლამაზი ღია წერილები და სხვა.

— გმადლობთ, ძია, გმადლობთ! — იმხნდა განხარებული ვანო. — როგორ ვასიამოვნებ ამხანაგებს! — დაავლო ვეკლავურს ხელი და გაჯარდა ოთახიდან.

— უუურეთ, უუურეთ, აი ჩემი სომალდი, აი ეს კიდევ ძიამ მოკვცა! — ხმაურობდა ვანო.

ბავშვები შემოესვივნენ ვანოს, სინჯავდნენ ბიძის მიცემულ ნივთებს.

ვანოს სომალდმა ხომ ვეკლა აღტაცებაში მოიევანა.

\* \* \*

ერთი კვირის შემდეგ სამრევლო სკოლის ბავშვების სარგებლად შემოწირულებათა სიაში ჩაწერილი იყო: „ლატარიის შემდეგ, რომელიც გამართული იყო ენიამშვილის ბავშვების და მათ ჰატარა მეგობრების მიერ, სკოლის დამხარე კომიტეტის გამგეობას გადაეცა 125 მან. 80 კან., რის გამოც კომიტეტი გულითად მადლობას უხდის ჰატარა შემოწირულებით“.

ნ. ყორჩიბაში.





ქართული  
ლიტერატურა

\*\*\*\*\*

# ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი.

V.

და რ ბ მ ვ ა .


უკანასკნელი სიტყვა წითელ-ულვაშასი.—საზინელი ღამე.—შეტაკება.—  
ქალაქის ალება.




ვენ აღტაცებით მოგვეგებენ ქალაქში. არასოდეს არ დამავიწყდება ის დღე, დაქანცულმა ლაშქარმა დაჭრილები ოთახებში მოათავსა. გამძლეები მათ მოვლას შეუდგნენ და ჭრილობებს უსველებდნენ.

ჩვენ სისარულით მოვეხვეით წითელ-ულვაშას და ულვაშებით ვეფერებოდით, მაგრამ ძალიან სუსტად კი იყო. მიძებმა მაქარი მოუტანეს, მაგრამ ჭამა უკვე აღარ შეეძლო.

—შენ გადაარჩინე ჩვენი ქალაქი, წითელ-ულვაშავ, — უთხარი მე, — შენ კი სიკვდილი გინდოდა, როგორც ოჯახის უვარგის წევრს. ეს იყო სწორედ იმ უბედური ნადირობის შემდეგ დაჭრილი რომ მოგიუვანეთ შინ. ხედავ ახლა, სასოწარკვეთილებას არასოდეს არ უნდა მიეცე. შენის რჩევით, შენი სიუბილადით გადარჩა ჩვენი ძრავალი ბავშვი და ჩვენი დიდებული ქალაქი! სალამს გიძღვნის შენ მთელი ქალაქი, როგორც გამარჯვებულს; შენის რჩევით ვაჯობეთ ჩვენ მტერს, ამას თავის დღეში არ დავივიწყებთ. — იცოცხლე და ემსახურე საუკარელ სამშობლოს ბედნიერებას!..



— ეძღვრობ ტებილი სიტყვებისთვის, ჩემო ცეტო! რა  
 სამხახური მიმიძღვის მე! ჩემს ადგილას სუეველა ჩემსავით  
 მოიქცეოდა! თქვენ განიძრჯვით, თქვენ გვეუთუნის ქება-დიდება  
 და არა მე— უფეხოს. ძალიან სასიამოვნოა თქვენი ნახვა, მაგ-  
 რამ, უნდა გითხრათ, ჯერ სიმინარულე ადრეა, ჯერ უბედუ-  
 რება თავიდან არ აგუცდენია. ეს წითური ვახლები ვუძახსე  
 უარესია, უარესია ამ ლომსე, მე რომ ფეხი მომაგლიჯა. ისი-  
 ნი უსათუოდ ჩვენ ქალაქს ხელახლა დაეცემიან... ოხ, მეტყინა!  
 ლაზარაკი აღარ შემიძლია, სათქმელი კი ბევრი მაქვს თქვენ-  
 თვის... ვგრძნობ, ჩვენი ძტერი ისევ დაბრუნდება... ოხ, ჩემო  
 ფეხებო, სადა ხართ, უბედურებო, მეც წავიდოდი სამშობლოს



ყველა ალაყათის კარები კუნძებით გავამავრეთ.

დასაცავად... — გაბორკეცით დარჩაობა... სუეველა ქუხებში და-  
 რაჯები დაეუნეთ... ნუ დაიძინებთ... უდარჯეთ!.. კიდევ რა-  
 ლაცას თქმა უნდოდა წითელ-ულუაძას, მაგრამ მისი ერთად

ერთი ფეხი უცებ მოეკუძმა. იგი შეკრთა, გაჭიმა ფეხი და მოკვდა. ასე გარდაიცვალა ჩვენი ხალხის დიდებული წარმომადგენელი.

მთელი ღამე აღმოთებული ვიყავით. არავის არ ეძინა. სუფეველგან დარბაჯები დაუჩვენეთ, ვეველა ალყაფის კარები გუნძებით გავამაგრეთ. წითელ-უღვაძას სიკვდილის წინ ნათქვამმა სიტყვებმა ვეველასე გაუღენა იქონია. თავდასხმას ველოდით; მაგრამ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. გათენდა დილა, და ჩვენ ჩვეულებრივ საქმეებს შევუდექით.

ნამუადღევს ხესე ავძვერი: ჩვენი საქონელი უნდა დაბეთვალდებინა. მადლიდგან მიდამო მოწეს მოსხანდა. წითელ-უღვაძას წინასწარმეტყველება ასდა: ჩვენი წითელი ძტრები დავინახე. მოდიოდნენ, როგორც ყოველთვის, წუობ-წუობად. აუარებელი ჭიანჭველები იყო. შიშისა და მწუნარებისაგან ზირდანიერ მიწს ჩვენ ქალაქში ჩავარდი.

— წითურები! წითურები მოდიან! თავს უშველეთ! — შეშინებულმა დავევირე.

საშინელი ამბავი მთელ ქალაქს მოედო. შევიკრიბენით დიდ მოედანსე და გადავწვევით მთელი ჯარი დავამწვრივით ქალაქის წინ და მთელი ჩვენი ძალ-ღონით დავიცვით. წითურები მოკვიანსლოდნენ, გაიუენენ რახმებად და ალყა შემოარტვეს ჩვენ ქალაქს. გამოვიდა მათი წინამძღოლი და გვითხრა:

— ხომ ხედავთ — თქვენი სიკვდილის დღე დადგა, ჩვენ თქვენსე უკეთ შეიარბლებულნი, უფრო ძლიერნი ვართ. მაგრამ ჩვენ ჩილი გულის ზატრონნი და კეთილშობილი მეომრები ვართ, და არ გვინდა უშიხნოდ თქვენი ამოქლეტა. იცოცხლეთ! ჩვენ ძარტო ხარკი გვინდა თქვენგან.

— რას გვთხოვთ ჩვენ, მშვიდობიან მცხოვრებლებს?

— ჩვენ გთხოვთ ძარტო ორი ათას კვერცხს და ფუძელებს



უსათუოთ კარგი ჯიშისაჲს, თქვენსავეთ კარგები რომ გამოიხატონ.

— გმადლობთ ასეთი კარგი აზრისთვის! დიანს, თქვენ ბევრს არ მოითხოვთ!.. თქვენ ჩვენ სიცოცხლეზე მეტს გუთხრავთ, —



აუარებელი კიანჭველების ჯარი მოდიოდა.

ჩვენ უსუსურ ბავშვებს. ნუ თუ გვინათ, რომ ჩვენ უბრძოლველად შეგაჭმევიანებთ ჩვენ ზატარებს? ვეუღანი დავიღუპებით, და სხეუარელ ბავშვებს არ წავატანთ, — უთხარი მე.

— ეველანი დავისოცებით, ბავშვებს კი არ ცავაქლეტინებთ! — უვიროდნენ ეველანი.

— ძალიან გვეცოდებით. წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევთ და ტყუილად დაიდუშებით. ტყუილად კი არ გვაქვს ასეთი უბები. მომეფეთ, ამხანაგებო!!!

იმათ ააჩხარუნეს თავისი საშინელი სანჯალები თითქოს ეველან ჩვენის ძეგმა უნდოდათ. ჩვენ შედგრათ დაგუხვდით და ვებრძოდით, რაც ძალი და ღონე გექნდა, თავს არ ვსოგავდით: მტერს ფეხებში ვეცემოდით, სურგსე ვახტებოდით; მაგრამ ამაოდ, თითქოს ვერც კი ამხნევდნენ ჩვენ ცემას, მოდიოდნენ თავისი გზით, ზირღაზირ ქალაქს უახლოვდებოდნენ. ვხედავდი, რომ ხსნა არ იყო, ვიდუშებოდით; მიწა დაფარული იყო მკვდრებით. ჭაერში ჭიანჭველების ძეგვე სუნი იდგა. ბრძოლას არ ვწვევდით, მაგრამ სარგებლობას ვერ ვხედავდით: წითურების განყრება შეუძლებელი იყო. მაშინ ჭერკულისს დაუუვირო: „გაუქცეთ, ჩქარა დაეძალოთ ჩვენი ბაღლები!“ — და ქალაქისკენ გაუქცეთ. უკან გაგვევა ჯარის ნაწილიც... საჩქაროდ ხელი ვტაცეთ ვინ პატარებს, ვინ ფუძელებს და მივარბენინებდით!.. მაგრამ სად? თითონაც არ ვიცოდით და გამძაგებული დავრბოდით უგზო-უკვლოდ.

კაკი.

(უმბრევი იქნება).







# გასართობი

## რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი სერგო და გიგა ჯაფარიძეებისგან)

I.

1 თ



ს



9

ჩემი მშობლები-  
ბაბა ვაჟი და  
აღის ჩემი?

მ

II.



ე  
შ  
მ  
ა  
ა  
კ  
ი

სხმ

მინდორი  
ანუ?

ნ

## თ ა ვ ი ს ს ა ტ ე ხ ი.

(წარმოდგენილი გ. ნადირაშვილის მიერ).

შენი სახელი და გვარი — ჩასვი ამ უჯრეტში ისე, რომ თითო უჯრეტში დაეტიოს თითო ასო და სწორედ გამოვიდეს.

